

თბილისის ჰიდრო რეკრეაციული არეალების შეფასება

ელიკო ვარძელაშვილი

ელ./ფოსტა: eliko.vardzelashvili195@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ნაშრომში განხილულია ქალაქ თბილისის ჰიდრო რეკრეაციული არეალები, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია ადამიანის ცხოვრებაში. იგი გავლენას ახდენს ადამიანის როგორც ფიზიკურ ისე სულიერ მხარეზე. რეკრეაციის სხვადასხვა სახეობიდან ნაშრომში განხილული და შეფასებულია ქალაქ თბილისის მნიშვნელოვანი ჰიდრო რეკრეაციულ არეალები (თბილისის ზღვა, კუს ტბა და ლისის ტბა), მათი პოტენციალი და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები.

ბოლო პერიოდში პოპულარულია და ყურადღება ექცევა დიდი ქალაქებში მდებარე წყალსატევების ჰიდრო რეკრეაციულ რესურსებად გამოყენებას. მსოფლიოში ჰიდრო რეკრეაციულ არეალებს (წყალსატევები და წყალსადინარები) რეკრეაციულ ღონისძიებათა სტრუქტურაში დაახლოებით 30-40% უკავია.

ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი ჰიდრო რეკრეაციული არეალებით არც თუ ისე მდიდარია, სწორედ ამიტომ არსებული ჰიდრო რეკრეაციული არეალების განვითარება და რაციონალურად გამოყენება ქალაქ თბილისისა და მისი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი აქტუალური და პრიორიტეტული საკითხია.

ნაშრომში განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ინიციატივით შემუშავებული „ქალაქ თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020“, სადაც განხილულია წყლის რესურსების პრობლემური საკითხები და დასახულია მიზნები და ამოცანები ამ პრობლემების გადასაწყვეტად.

ასევე, განხილულია დედაქალაქის განვითარების ახალი გენერალური გეგმა, რომლის ერთი მიმართულებაა „თბილისის ზღვის განვითარების“ პროექტი და „ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის“ პროექტი „თბილისის ზღვის ახალი ქალაქი“.

ნაშრომი ორიენტირებულია ქალაქ თბილისის ჰიდრო რეკრეაციული არეალების პოტენციალის შეფასებაზე. ინფორმაცია აღებული და დამუშავებულია სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან, სამეცნიერო ნაშრომებიდან და ჩემს მიერ ჩატარებული კვლევებიდან. სიტუაციური გეგმები შესრულებულია გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით ავტორის მიერ.